სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

მაისი № 9

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**
ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.
Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4
ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-38

instruqcia / **Instructions** ---------- 39

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 40-56

gadasaxadebi #9, 2019

GADASAKHADEBI #9, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^2 პუნქტი:

„5^2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად წარდგენილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში უნდა შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. აღნიშნული დეკლარაცია საჯაროა და დაუყოვნებლივ ქვეყნდება ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 1 მაისი 2019 წ.

N4527-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1^1 პუნქტით, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“.

მუხლი 2. „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ გარემოებებში ამ კანონის ამოქმედებამდე გარდაცვლილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების ოჯახის წევრებს ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობათ ამ კანონის ამოქმედების დღიდან.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 მაისი 2019 წ.

N4545-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 11.11.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სისტემის თანამშრომელზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 მაისი 2019 წ.

N4546-IIს

საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კერძო მაუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის კომერციული ან არაკომერციული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც არ არის არც საზოგადოებრივი მაუწყებლობა, არც სათემო მაუწყებლობა და არც საუნივერსიტეტო მაუწყებლობა;“;

ბ) „ჰ[19]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[20]“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჰ[20]) საუნივერსიტეტო მაუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირის ან არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სწავლის, სწავლების, სამეცნიერო კვლევებისა და უმაღლესი განათლების სტიმულირებას, საზოგადოებისათვის უნივერსიტეტში (უმაღლესი განათლების სფეროში) მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და რომლის მიზანი არ არის მოგების მიღება.“.

2. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადმინისტრაციული ორგანო, გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა;“.

3. 38-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მაუწყებლობის სახეობებია: სათემო მაუწყებლობა, კერძო მაუწყებლობა, საუნივერსიტეტო მაუწყებლობა.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4[1] პუნქტი:

„4[1]. საუნივერსიტეტო მაუწყებლობა არის სპეციალიზებული მაუწყებლობა, რომლის ავტორიზაციისას მიეთითება სამაუწყებლო პროგრამების თემატიკა/თემატიკები.“.

4. 38[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოში ავტორიზებულმა საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განმახორციელებელმა ტელემაუწყებელმა სამაუწყებლო ბადეში პროგრამები საქართველოს სახელმწიფო ენაზე უნდა განათავსოს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.“.

5. 45[1] მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სათემო მაუწყებლობის, კერძო მაუწყებლობის ან საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების მსურველი პირი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომლის ფორმასაც ამტკიცებს კომისია.“;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საიდენტიფიკაციო მონაცემები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;“;

გ) მე-3 პუნქტის:

გ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; ფიზიკური პირის შემთხვევაში – შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;“;

გ.ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების მსურველი პირისათვის – ამ პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე ამავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).“;

დ) მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან მისი ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში.“.

6. 63-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. აკრძალულია საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განმახორციელებელი მაუწყებლის მიერ ტელეშოპინგის განთავსება.“.

7. 66^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საუნივერსიტეტო მაუწყებლობა ფინანსდება საკუთარი სახსრებით, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.“.

მუხლი 2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 მაისი 2019 წ.

N4547-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2015, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.017771) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ადმინისტრაციული ორგანოსგან გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია/დოკუმენტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან გააფორმოს შეთანხმება ინფორმაციის/დოკუმენტის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ;

გ) სამსახურებრივი საჭიროებისთვის განმარტების/დასკვნის მისაღებად მიმართოს სპეციალისტს, სამეცნიერო დაწესებულებას ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებას;

დ) შექმნას სამუშაო ჯგუფი. ამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოს და კერძო სექტორის წარმომადგენლები;

ე) საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 მაისი 2019 წ.

N4548-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

შენიშვნა: ამ კანონის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.“.

2. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 3 მაისი 2019 წ.

N4549-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) 12 მაისი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე, საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე – იმედის დღე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4586-**რს**

საქართველოს კანონი

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 220030000.05.001.019095) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4588-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020060.05.001.019097) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 10 მაისიდან.**“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4589-**რს**

საქართველოს კანონი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 320110000.05.001.019080) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 10 მაისიდან.**“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4590-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320050.05.001.019088) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4592-**რს**

საქართველოს კანონი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.05.001.019096) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4594-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 220020000.05.001.019093) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4593-**რს**

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 200000000.05.001.019072) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4599-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 200020000.05.001.019091) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4600-**რს**

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 200010000.05.001.019094) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. **ეს კანონი ამოქმედდეს** 2019 **წლის** 10 **მაისიდან**.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4601-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.019086) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2019 წლის 10 მაისიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4602-**რს**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 040170280.05.001.019092) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 10 მაისიდან.**“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი, 8 მაისი 2019 წ.

N4606-რს

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №215

2019 წლის 1 მაისი, ქ. თბილისი

„დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/11/2014, 470230000.10.003.018244) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-2 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 2. **პროგრამის ამოცანა**

პროგრამის ამოცანაა:

ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე და მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამ მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში ადამიანური რესურსის მომზადების საშუალებით;

ბ) დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

გ) პროფესიული რეგულირების არსებული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.“.

2. მე-3 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 3. **პროგრამის ღონისძიებები**

პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობების მაძიებელთა (შემდგომში – მაძიებელი) დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დაფინანსება №1[1] დანართით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობებში;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დაფინანსება;

დ) საექიმო სპეციალობებში: „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“, „ინფექციური სნეულებები“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „გასტროენტეროლოგია“, „ნეფროლოგია“, „რევმატოლოგია“, „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“, „ბავშვთა ნევროლოგია“, „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, „დერმატო-ვენეროლოგია“, „უროლოგია“, „კარდიოქირურგია“, „ოტორინოლარინგოლოგია“, „ოფთალმოლოგია“, „ნეიროქირურგია“, „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“, „კლინიკური ონკოლოგია“, „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია“, „სასამართლო მედიცინა“, „ბავშვთა ქირურგია“ – ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზების განახლება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ და „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება.“.

3. **მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგია

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დაფინანსება განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის თანახმად:

ა) საექიმო სპეციალობებისა და შესაბამისი ადგილების (კვოტების) რაოდენობა, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება №1 დანართით („დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა“);

ბ) მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

გ) პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაძიებლებს, რომელთაც:

გ.ა) ჩაბარებული აქვთ ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მოპოვებული აქვთ საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა (მ.შ. იმ მაძიებლებს, რომლებსაც დაწყებული აქვთ დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებში/სასწავლებლებში), აქვთ მზაობა, გაიარონ დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება)/სარეზიდენტო პროგრამა №1 დანართით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობებში და მისი დასრულების შემდეგ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა განახორციელონ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების, ასევე იმ მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

გ.ბ) მოპოვებული აქვთ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი და აქვთ მზაობა, გაიარონ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამა და/ან მომიჯნავე საექიმო სპეციალობებში დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის ნაწილი და მისი დასრულების შემდეგ განახორციელონ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების, ასევე იმ მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მაძიებელთა შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) №2 დანართით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით;

ე) პროგრამის ფარგლებში შერჩეული მაძიებლების დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) უზრუნველყოფისათვის სამინისტროსა და აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებს/სასწავლებლებს შორის ფორმდება მემორანდუმი;

ვ) პროგრამის ფარგლებში შერჩეულ მაძიებლებთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის ფორმატი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ზ) პროგრამის ფარგლებში შერჩეული მაძიებლები დაფინანსდებიან ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.

2. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დაფინანსება განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის თანახმად:

ა) საექიმო სპეციალობების რაოდენობა, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება №1[1] დანართით;

ბ) პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაძიებლებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა, მოპოვებული აქვთ საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა და 2019 წელს ჩარიცხულნი არიან დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამაში საქართველოში აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებში/სასწავლებლებში №1[1] დანართით („პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში“) განსაზღვრულ საექიმო სპეციალობებში;

გ) პროგრამაში საექიმო სპეციალობათა მაძიებლების ჩართვა განხორციელდება შესაბამისი საექიმო სპეციალობ(ებ)ის დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამების განმახორციელებელი აკრედიტებული სამედიცინო დაწესებულებებიდან/უმაღლესი სასწავლებლებიდან მიწოდებული ინფორმაციის (მაძიებლის სახელი, გვარი, საექიმო სპეციალობის დასახელება, დიპლომისშემდგომი განათლების/სარეზიდენტო პროგრამაში ჩარიცხვის თარიღი) საფუძველზე;

დ) პროგრამაში ჩართული მაძიებლები დაფინანსდებიან ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დაფინანსება განხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის თანახმად:

ა) პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე მაძიებლებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა, მოპოვებული აქვთ საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა და ჩარიცხულნი არიან დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამაში (გარდა საექიმო სპეციალობებისა – „თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“, „ორთოდონტია“) საქართველოში აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებში/სასწავლებლებში;

ბ) პროგრამაში საექიმო სპეციალობათა მაძიებლების ჩართვა განხორციელდება შესაბამისი საექიმო სპეციალობ(ებ)ის დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამების განმახორციელებელი აკრედიტებული სამედიცინო დაწესებულებებიდან/უმაღლესი სასწავლებლებიდან მიწოდებული ინფორმაციის (მაძიებლის სახელი, გვარი, საექიმო სპეციალობის დასახელება, დიპლომისშემდგომი განათლების/სარეზიდენტო პროგრამაში ჩარიცხვის თარიღი) საფუძველზე. სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში;

გ) პროგრამაში ჩართული მაძიებლები დაფინანსდებიან ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით.

4. პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“.

4. **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 5. **დაფინანსების წესი და ოდენობა**

1. მაძიებლების დაფინანსების წესი და ოდენობა აღნიშნული პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

ა) დაფინანსება განხორციელდება განათლების ვაუჩერის მეშვეობით;

ბ) განათლების ვაუჩერი წარმოადგენს კომპონენტის ფარგლებში შერჩეული მაძიებლებისათვის განკუთვნილ, არამატერიალიზებული ფორმის ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც განკუთვნილია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დასაფინანსებლად;

გ) მაძიებლები ამ კომპონენტით გათვალისწინებულ დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო დახმარების სახით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) კომპონენტის ფარგლებში დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) 1 წლის (11 თვე) სწავლის დაფინანსება განხორციელდება დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამისთვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

ე) განათლების ვაუჩერის განაღდება მოხდება კომპონენტის ფარგლებში დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) განმახორციელებელი დაწესებულებებიდან/სასწავლებლებიდან წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ყოველკვარტალურად. ერთ მაძიებელზე ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 1 წლის (11 თვე) სწავლების ღირებულებით, არაუმეტეს 2 200 ლარით (მომიჯნავე საქმიო სპეციალობებში დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის ნაწილის (თუ მისი ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია) შემთხვევაში – შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 200 ლარისა);

ვ) აღნიშნული პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მაძიებლების ნუსხა მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველზეც სამინისტრო უზრუნველყოფს განათლების ვაუჩერის განაღდებას (სწავლების საფასურის ანაზღაურებას) შესაბამის დაწესებულებასთან/სასწავლებელთან;

ზ) აღნიშნული პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების ფარგლებში მაძიებლების დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) ფინანსდება სრულად, დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამის შესაბამისად.

2. აღნიშნული პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომპონენტებისათვის (საქმიო სპეციალობებში: „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“, „ინფექციური სნეულებები“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „გასტროენტეროლოგია“, „ნეფროლოგია“, „რევმატოლოგია“, „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“, „ბავშვთა ნევროლოგია“, „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, „დერმატო-ვენეროლოგია“, „უროლოგია“, „კარდიოქირურგია“, „ოტორინოლარინგოლოგია“, „ოფთალმოლოგია“, „ნეიროქირურგია“, „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“, „კლინიკური ონკოლოგია“, „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია“, „სასამართლო მედიცინა“, „ბავშვთა ქირურგია“ – ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება, ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ და „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება-დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძოდ, დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამა და ამ მიზნით 2019 წელს გათვალისწინებულია 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, რომელიც ნაწილდება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ღონისძიება	ღირებულება სულ (ლარებით)
1	საქმიო სპეციალობებში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია", „ინფექციური სნეულებები", „ფთიზიატრია-პულმონოლოგია", „გასტროენტეროლოგია", „ნეფროლოგია", „რევმატოლოგია", „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია", „ბავშვთა ნევროლოგია", „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია", „დერმატო-ვენეროლოგია", „უროლოგია", „კარდიოქირურგია", „ოტორინოლარინგოლოგია", „ოფთალმოლოგია", „ნეიროქირურგია", „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა", „კლინიკური ონკოლოგია", „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია", „სასამართლო მედიცინა", „ბავშვთა ქირურგია" – ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზების განახლება	143 000
1.1	საქმიო სპეციალობაში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.1.1	საქმიო სპეციალობაში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.1.2	საქმიო სპეციალობაში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.2	საქმიო სპეციალობაში – „ინფექციური სნეულებები" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.2.1	საქმიო სპეციალობაში – „ინფექციური სნეულებები" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.2.2	საქმიო სპეციალობაში – „ინფექციური სნეულებები" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.3	საქმიო სპეციალობაში – „ფთიზიატრია-პულმონოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.3.1	საქმიო სპეციალობაში – „ფთიზიატრია-პულმონოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.3.2	საქმიო სპეციალობაში – „ფთიზიატრია-პულმონოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.4	საქმიო სპეციალობაში – „გასტროენტეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.4.1	საქმიო სპეციალობაში – „გასტროენტეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.4.2	საქმიო სპეციალობაში – „გასტროენტეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.5	საქმიო სპეციალობაში – „ნეფროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.5.1	საქმიო სპეციალობაში – „ნეფროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.5.2	საქმიო სპეციალობაში – „ნეფროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.6	საქმიო სპეციალობაში – „რევმატოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.6.1	საქმიო სპეციალობაში – „რევმატოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.6.2	საქმიო სპეციალობაში – „რევმატოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.7	საქმიო სპეციალობაში – „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.7.1	საქმიო სპეციალობაში – „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.7.2	საქმიო სპეციალობაში – „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.8	საქმიო სპეციალობაში – „ბავშვთა ნევროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.8.1	საქმიო სპეციალობაში – „ბავშვთა ნევროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.8.2	საქმიო სპეციალობაში – „ბავშვთა ნევროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.9	საქმიო სპეციალობაში – „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის მომზადება (1000 ახალი ტესტის შესყიდვა)	10 000
1.10	საქმიო სპეციალობაში – „დერმატო-ვენეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.10.1	საქმიო სპეციალობაში – „დერმატო-ვენეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.10.1	საქმიო სპეციალობაში - „დერმატო-ვენეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.10.2	საქმიო სპეციალობაში - „დერმატო-ვენეროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.11	საქმიო სპეციალობაში - „უროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.11.1	საქმიო სპეციალობაში - „უროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.11.2	საქმიო სპეციალობაში - „უროლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.12	საქმიო სპეციალობაში - „კარდიოქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.12.1	საქმიო სპეციალობაში - „კარდიოქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.12.2	საქმიო სპეციალობაში – „კარდიოქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.13	საქმიო სპეციალობაში – „ოტორინოლარინგოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.13.1	საქმიო სპეციალობაში - „ოტორინოლარინგოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.13.2	საქმიო სპეციალობაში – „ოტორინოლარინგოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.14	საქმიო სპეციალობაში – „ოფთალმოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.14.1	საქმიო სპეციალობაში – „ოფთალმოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.14.2	საქმიო სპეციალობაში - „ოფთალმოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.14.2	საქმიო სპეციალობაში - „ოფთალმოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.15	საქმიო სპეციალობაში - „ნეიროქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.15.1	საქმიო სპეციალობაში - „ნეიროქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.15.2	საქმიო სპეციალობაში - „ნეიროქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.16	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.16.1	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.16.2	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.17	საქმიო სპეციალობაში - „კლინიკური ონკოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.17.1	საქმიო სპეციალობაში - „კლინიკური ონკოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.17.2	საქმიო სპეციალობაში - „კლინიკური ონკოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.18	საქმიო სპეციალობაში - „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.18.1	საქმიო სპეციალობაში - „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.18.2	საქმიო სპეციალობაში - „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.19	საქმიო სპეციალობაში - „სასამართლო მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.19.1	საქმიო სპეციალობაში - „სასამართლო მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.19.2	საქმიო სპეციალობაში - „სასამართლო მედიცინა" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
1.20	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა ქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება	7 000
1.20.1	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა ქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების გადამუშავება	2 000
1.20.2	საქმიო სპეციალობაში - „ბავშვთა ქირურგია" სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტ-კითხვარების ბაზის განახლება (500 ახალი ტესტის შესყიდვა)	5 000
2	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა" და „სტომატოლოგია" ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება	**12 000**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2.1	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზის განახლება	7 000
2.1.1	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება)	1 000
2.1.2	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ ბაზის განახლება (600 ახალი ტესტის შესყიდვა)	6 000
2.2	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზის განახლება	5 000
2.2.1	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ., დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება)	1 000
2.2.2	ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზის განახლება (400 ახალი ტესტის შესყიდვა)	4 000
	სულ:	**155 000.“.**

5. №1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში და აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა

1. ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია (5 ადგილი (კვოტა)).

2. შინაგანი მედიცინა (5 ადგილი (კვოტა)).

3. პედიატრია (5 ადგილი (კვოტა)).

4. ზოგადი ქირურგია (5 ადგილი (კვოტა)).

5. გადაუდებელი მედიცინა (5 ადგილი (კვოტა)).

6. საოჯახო მედიცინა (5 ადგილი (კვოტა)).“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. №1 დანართის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის №1[1] დანართი:

დანართი №1[1]

პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება პროგრამის ფარგლებში

1. პათოლოგიური ანატომია (კლინიკური პათოლოგია).

2. ფსიქიატრია.

3. ფთიზიატრია-პულმონოლოგია.

4. ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგია.“.

7. №2 დანართის („საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესი“):

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კანდიდატმა, შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიზნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) შესაბამისი განცხადება;

ბ) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა სარეზიდენტო პროგრამაში ჩარიცხვის შესახებ ან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) სამოტივაციო წერილი;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის/მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს რეკომენდაცია.“;

ბ) მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თანაბარქულიანი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების მცხოვრებლებს/იმ მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებს, რომელთათვისაც განხორციელდება მაძიებლების შერჩევა;“;

გ) მე-8 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] პუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„8[1]. მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას (მ.შ., კონკრეტული რეგიონის/მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და დაცილება (დრო, მანძილი) სამედიცინო სერვისის სხვა მიმწოდებლებთან, სათანადო დარგის ადამიანური რესურსის არარსებობა/დეფიციტი, კონკრეტული სერვისის პრიორიტეტულობა), რაც დასტურდება როგორც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის/მუნიციპალიტეტის/ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების შესაბამისი ორგანოს რეკომენდაციით, ასევე დეფიციტური დარგის შესახებ ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე (მ.შ., ინფორმაციის გადამოწმება სტატისტიკურ მონაცემთა წყაროებში, ანგარიშგების ფორმებში), საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის მიზნით შექმნილი კომისია უფლებამოსილია, შეარჩიოს იმ მუნიციპალიტეტის/„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების მცხოვრები (მ.შ., მუდმივად მცხოვრები პირი; აღნიშნულ მუნიციპალიტეტში დაბადებული პირი და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაბადებული პირი; პირი, რომლის მშობლები/მეუღლე არიან (არის) აღნიშნულ მუნიციპალიტეტში/„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირ(ებ)ი), რომლისთვისაც ხორციელდება შერჩევა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №221

2019 წლის 14 მაისი, ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2019, 470230000.10.003.021024) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ზ) ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების (შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“) აღჭურვა და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;“.

2. **მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი**:

„კ) შპს „დაბა აბასთუმნის ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურის შესყიდვა.“.

3. **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ამ პროგრამის მე-2 მუხლის „ა.ბ“, „ა.გ“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

4. **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 5. **პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი, კომპონენტების მიხედვით, განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის:	9 612.3
	1.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	764.0
	1.2. აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით	8 448.3
	1.3. სარეზერვო გარე ელექტრომომარაგების ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	400.0
2	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:	1 961.7
	2.1. ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, საიჯარო გადასახადის გადახდა	461.7
	2.2. ფუნქციონირებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	1 500.0
3	სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის:	3 628.0
	3.1. 52 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფში ახალი ოფისების აღჭურვა ავეჯით	260.0
	3.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების შესყიდვა	2 808.0
	3.3. სპეციალიზებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანებისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა	560.0
4	შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის:	800.0
	4.1. სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების შესყიდვა	600.0
	4.2. სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	200.0
5	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა	300.0
6	დაბა ბაკურიანში, დაბა გუდაურსა და სხვა საკურორტო ზონებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრების (EMERGENCY) მშენებლობა და აღჭურვა	2 620.0
7	ფსიქიატრიული და ადიქტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების (შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“) აღჭურვა და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	600.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8	ქ. რუსთავში ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობისთვის საჭირო მიწის გამოსყიდვა	50.0
9	პროგრამის ადმინისტრირება	48.0
10	შპს „დაბა აბასთუმნის ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრის" ფუნქციონირებისათვის სამედიცინო და სარეაბილიტაციო აპარატურის შესყიდვა	380.0
	სულ:	**20 000.0.".**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №138

2019 წლის 14 მაისი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 128 – „სსიპ – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

128	0738	სსიპ – „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 1458 –„ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1459	5099	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“
1460	5100	ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო“
1461	5101	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“

2. დანართ №3-ში 7335 – სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ავანსად მიღებული მომსახურების საფასური“ – სახაზინო კოდის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ირაკლი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“	7336

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №83/ნ

2019 წლის 6 მაისი, ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 30/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430090000.22.022.017630) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს შინაგანაწესის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანა და ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსათვის – რესურსცენტრისათვის წარდგენა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 30 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №87/ნ

2019 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

„სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (თბილისი, 8 აპრილი 2019 წ. №4495-რს) საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანება (www.matsne.gov.ge, 110407029, 07/04/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430190000.22.022.016087).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №88/ნ

2019 წლის 24 მაისი, ქ. თბილისი

„ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №56/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (№3024 - რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 8 აპრილის კანონის (№4495 - რს) პირველი მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №56/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2014, 430210000.22.022.016791) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-3 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 6

წინამდებარე ბრძანების პირველი, მე-2, მე-4, მე-5 მუხლებით დამტკიცებული სახელმწიფო დოკუმენტების ფორმები წარმოადგენს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მეორე კატეგორიის დაცულ ფორმას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების №6 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.“.

3. მე-6 მუხლით დამტკიცებული №6 დანართის მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წინამდებარე ბრძანების პირველი, მე-2, მე-4, მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დოკუმენტების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრას, პოლიგრაფიული საწარმოების მეშვეობით მათ ტირაჟირებასა და გამოყენების კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №149

2019 წლის 22 მაისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 200090000.22.033.017096, 18/05/2018) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 22^1 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4^1. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე, სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს ჩამოეწეროთ პირადი აღრიცხვის ბარათზე ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელზეც გასულია საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.“.

მუხლი 2

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ჩამოწეროს პირადი აღრიცხვის ბარათზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელზეც 2019 წლიდან გასულია საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №13736

2019 წლის 1 მაისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) პირისთვის სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებას და გაუქმებას. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირთა რეესტრის წარმოებას;“;

ბ) მე-8მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტიჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის, სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის, ტურისტული საწარმოს სტატუსის, სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა და შესაბამისი რეესტრების წარმოება. იურიდიული პირისთვის სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში. სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა. სპეციალური სავაჭრო ზონების ერთიანი შიდასაუწყებო რეესტრის წარმოება;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №14597

2019 წლის 10 მაისი

„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ” მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 და მე-16 პუნქტები:

„15. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის გასვლის თარიღიდან.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული საურავის დარიცხვის შეზღუდვა განხორციელდეს პროგრამულად, რისთვისაც:

ა) 2019 წლის 1 იანვრიდან ყოველდღიურად განისაზღვრება ბოლო 3 წელში სავადო თარიღით დარიცხული ის თანხები, რომლებიც განიხილება დავალიანების შემადგენელ ნაწილად და მხოლოდ აღნიშნულ თანხებზე გაგრძელდება საურავის დარიცხვა. ამასთან, ბოლო 3 წელში დავალიანების შემცირების ოპერაციების თანხები, ჯერ ამცირებს იმავე სავადოში იმავე გადასახადში დარიცხულ თანხებს, ხოლო შემდეგ, ისევე როგორც ამავე პერიოდში ბიუჯეტში გადახდილი თანხები, მონაწილეობს ძველი პერიოდის დავალიანების დაფარვაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 2016 წლის 1 იანვრამდე სავადო თარიღით დარიცხულ დავალიანებაზე საურავის დარიცხვა შეწყდება 2019 წლის 1 იანვარს (მათ შორის, ძირითად ბარათზე შემდგომ პერიოდში ასახული თანხებით წარმოშობილ დავალიანებაზე).

მაგალითი 5:

პირს 2013 წლის მარტის თვის დღგ-ის დეკლარაციით 15.04.2013 წლის სავადო თარიღით დაერიცხა 1 000 ლარი.

პირს სხვა სახის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან არ უწარმოებია.

01.01.2019 წლის მდგომარეობით პირს უფიქსირდება დავალიანება შემდეგი ოდენობით: გადასახადი – 1 000 ლარი, ჯარიმა – 0 ლარი და საურავი – 1 500 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

ვინაიდან პირს არ აქვს ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული დარიცხვები, შესაბამისად, 1 000 ლარზე 01.01.2019 წლიდან შეწყდება საურავის დარიცხვა.

მაგალითი 6:

პირს 31.12.2015 წლის მდგომარეობით ერიცხება საგადასახადო დავალიანება 7 500 ლარის ოდენობით. მათ შორის, გადასახადი – 7 000 ლარი, ჯარიმა – 400 ლარი და საურავი – 100 ლარი.

2016 წლის იანვრის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, პირს 15.02.2016 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი – 4 000 ლარი, ხოლო 2017 წლის თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, 15.03.2017 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი 1 000 ლარი.

პირს სხვა სახის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან არ უწარმოებია.

01.01.2019 წლის მდგომარეობით პირს უფიქსირდება დავალიანება შემდეგი ოდენობით: გადასახადი – 12 000 ლარი, ჯარიმა – 400 ლარი და საურავი – 150 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

დაჯამდება ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული დარიცხვები 5 000 ლარი (4000+1000), რომელზეც გაგრძელდება საურავის დარიცხვა.

შესაბამისად, 01.01.2019 წლის მდგომარეობით გადასახადში არსებული დავალიანების თანხას გამოაკლდება ბოლო 3 წლის დარიცხული თანხები, კერძოდ, 12 000 - 5 000 = 7 000 და 7000 ლარზე შეწყდება საურავის დარიცხვა.

ამასთან, 15.02.2016 წლის სავადო თარიღით დარიცხულ თანხაზე – 4 000 ლარზე საურავის დარიცხვა შეწყდება 16.02.2019 წელს, ხოლო 15.03.2017 წლის სავადო თარიღით დარიცხულ 1 000 ლარზე – 16.03.2020 წელს, თუ ეს თანხები აღნიშნული პერიოდებისთვის კვლავ განიხილება დავალიანების შემადგენელ ნაწილად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მაგალითი 7:

პირს 31.12.2015 წლის მდგომარეობით ერიცხება საგადასახადო დავალიანება 7 500 ლარის ოდენობით. მათ შორის, გადასახადი – 7 000 ლარის, ჯარიმა – 400 ლარის და საურავი – 100 ლარის ოდენობით.

2016 წლის იანვრის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, პირს 15.02.2016 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი – 4 000 ლარი, ხოლო 2017 წლის თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, 15.03.2017 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი – 1 000 ლარი.

პირმა 2018 წელს გადაიხადა 3 000 ლარი. სხვა სახის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან არ უწარმოებია.

01.01.2019 წლის მდგომარეობით პირს უფიქსირდება დავალიანება შემდეგი ოდენობით: გადასახადი – 9 000 ლარი, ჯარიმა – 400 ლარი და საურავი – 150 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირის მიერ გადახდილი 3 000 ლარით იფარება თავდაპირველად წარმოშობილი დავალიანება, ანუ 31.12.2015 წლის მდგომარეობით არსებული დავალიანება (7000 – 3000 = 4000), ასევე დაჯამდება ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული დარიცხვები (4 000 + 1 000) და 01.01.2019 წლის მდგომარეობით გადასახადში არსებული დავალიანების თანხას გამოაკლდება ბოლო 3 წლის დარიცხული თანხები (9 000 – 5 000 = 4 000).

შესაბამისად, 4 000 ლარზე შეწყდება საურავის დარიცხვა.

მაგალითი 8:

პირს 31.12.2015 წლის მდგომარეობით ერიცხება საგადასახადო დავალიანება – 7 500 ლარის ოდენობით. მათ შორის, გადასახადი 7 000 ლარის, ჯარიმა – 400 ლარის და საურავი – 100 ლარის ოდენობით.

2016 წლის იანვრის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, პირს 15.02.2016 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი – 4 000 ლარი, ხოლო 2017 წლის თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე, 15.03.2017 წლის სავადო თარიღით დაერიცხა გადასახადი – 1 000 ლარი.

პირმა 2018 წელს წარმოადგინა 2018 წლის მაისის თვის დღგ-ის დეკლარაცია 2 000 ლარის შემცირებით.

15.05.2018 წელს გამოიცა განკარგულება პირის ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, რომლის საფუძველზე, რეალიზებული ქონების ღირებულება შეადგენს 500 ლარს.

პირს სხვა სახის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან არ უწარმოებია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

01.01.2019 წლის მდგომარეობით პირს უფიქსირდება დავალიანება შემდეგი ოდენობით: გადასახადი – 9 500 ლარი, ჯარიმა – 400 ლარი და საურავი – 150 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირის მიერ 2018 წელს წარმოდგენილი მაისის თვის დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე შემცირებული 2 000 ლარით და განკარგულების საფუძველზე შემცირებული 500 ლარით დაიფარება თავდაპირველად წარმოშობილი დავალიანება, ანუ 31.12.2015 წლის მდგომარეობით არსებული დავალიანება (7 000 - 2 000 - 500 = 4 500), ასევე დაჯამდება ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული დარიცხვები (4000+1000). შესაბამისად, 01.01.2019 წლის მდგომარეობით გადასახადში არსებული დავალიანების თანხას გამოაკლდება ბოლო 3 წლის დარიცხული თანხები – 5 000 ლარი და (9 500 - 5 000 = 4 500) და 4 500 ლარზე შეწყდება საურავის დარიცხვა.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №15747

2019 წლის 20 მაისი, ქ. თბილისი

დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. ბუნებრივი, საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების შემუშავების მიზნით, შეიქმნას დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ვახტანგ ლაშქარაძე – შემოსავლების სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ზურაბ ძნელაშვილი – შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე;

გ) დინარა ჩუბინიძე – იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) მერაბ არახამია – საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ე) შალვა კოპალეიშვილი – დავების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) შოთა ვალიშვილი – აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) დავით მულაძე – საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

თ) ლევან ბაინდურაშვილი – საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ი) ლევან სირანაშვილი – საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსი (კომისიის მდივანი).

2. დამტკიცდეს „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის საქმიანობის წესი“ თანდართული რედაქციით (დანართი №1).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 11 მარტის № 5561 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსი

დანართი №1

დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის

საქმიანობის წესი

მუხლი 1

1. დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია (შემდგომში – კომისია) არის შემოსავლების სამსახურის სათათბირო ორგანო და მისი შექმნის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების (შემდგომში – ტექნიკური ნორმები) შემუშავება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. კომისია ტექნიკური ნორმების შემუშავებას ახორციელებს:

ა) შემოსავლების სამსახურის ინიციატივით;

ბ) გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2

1. კომისიის სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას, კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი.

2. კომისიის სხდომის შედეგების გათვალისწინებით დგება კომისიის სხდომის ოქმი.

3. განსახილველი საკითხის სირთულის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტები, სპეციალისტები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები.

4. კომისიის მიერ გადასახადის გადამხდელის განცხადების განხილვის ვადაა არაუმეტეს 2 თვე.

5. კომისია ტექნიკურ ნორმებს ადგენს გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი სტანდარტების, შემოწმების მასალების, საგადასახადო მონიტორინგის შედეგების, ექსპერტიზის დასკვნის ან/და სხვა სათანადო ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3

1. გადასახადის გადამხდელის ინიციატივით ტექნიკური ნორმების დადგენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს:

ა) განცხადება ტექნიკური ნორმების დადგენის თაობაზე;

ბ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

გ) ტექნიკური ნორმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

2. ტექნიკური ნორმების შემუშავების მიზნით, კომისიას უფლება აქვს:

ა) გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის (მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნის) წარდგენა;

ბ) გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სისწორე.

3. კომისიის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია კომისიას წარუდგინოს არაუმეტეს 1 თვის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენამდე ჩერდება ტექნიკური ნორმის დადგენის თაობაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის განხილვის ვადის დინება.

მუხლი 4

1. ტექნიკური ნორმის დადგენის თაობაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის განხილვის შედეგად კომისიას უფლება აქვს:

ა) შეიმუშაოს ტექნიკური ნორმა გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნილი ოდენობით;

ბ) შეიმუშაოს ტექნიკური ნორმა გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნილისაგან განსხვავებული ოდენობით;

გ) უარი თქვას ტექნიკური ნორმის შემუშავებაზე.

2. კომისია უფლებამოსილია, უარი თქვას ტექნიკური ნორმის შემუშავებაზე, თუ:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არასრულია;

ბ) წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მონაცემები არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას;

გ) საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ტექნიკური ნორმის დადგენა შეუძლებელია;

დ) წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ტექნიკური ნორმის დადგენის შესაძლებლობას;

ე) ექსპერტიზის დასკვნიდან/საგადასახადო შემოწმების მასალებიდან, საგადასახადო მონიტორინგის შედეგებიდან ან სხვა მონაცემებიდან გამომდინარე, ტექნიკური ნორმის დადგენა მიზანშეუწონელია;

ვ) მოთხოვნა სცილდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

მუხლი 5

კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ტექნიკური ნორმა მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №16415

2019 წლის 23 მაისი, ქ. თბილისი

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“-„თ“ ქვეპუნქტები:

„ვ) „გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმისა და გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხის აღიარების შესახებ“ განცხადება – დანართი №7;

ზ) საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის წესი – დანართი №8;

თ) მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტთან დაკავშირებით შეტყობინების ფორმა – დანართი №9.“.

გ) დანართი №7-ის შემდეგ დაემატოს დანართი №8 და დანართი №9 თანდართული რედაქციით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 იანვრის №423 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

„დანართი №8

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) შედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტთან(შემდგომში - ოქმის პროექტი) დაკავშირებით საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოზე (შემდგომში - სათათბირო საბჭო) გადასახადის გადამხდელის ან/დამისი წარმომადგენლის წერილობითი/ელექტრონული პოზიციის (შემდგომში -გადამხდელის პოზიცია) განხილვის პროცედურებს.

2. სათათბირო საბჭოს რიცხოვნობას და პერსონალურ შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

3. სათათბირო საბჭოს თავმჯდომარეობს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, მისი არყოფნის შემთხვევაში, სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

4. სათათბირო საბჭოს საქმიანობის ორგანიზებას, სათათბირო საბჭოზე განსახილველი გადამხდელთა პოზიციების (დღის წესრიგის) მომზადებას და განხილვის ოქმების (შემდგომში - სხდომის ოქმი) სისტემატიზაციას წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით უზრუნველყოფს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველო (შემდგომში - სამართლებრივ საკითხთა სამმართველო).

5. სათათბირო საბჭო კოლეგიურად, დახურულ სხდომაზე, განიხილავს ოქმის პროექტთან დაკავშირებით, დეპარტამენტის კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებზე წარდგენილ გადასახადის გადამხდელის დასაბუთებულ პოზიციას, რომლითაც იგისრულად ან ნაწილობრივ (ცალკეული ეპიზოდების მიხედვით) არ ეთანხმება ოქმის პროექტს (განხორციელებული მიმდინარე კონტროლის დროს გამოვლენილ შედეგებს) სათანადო საფუძვლებზე მითითებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2. სათათბირო საბჭოს მუშაობის წესი

1. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი ოქმის პროექტს გასაცნობად უგზავნის გადასახადის გადამხდელს და ატყობინებს (№9 დანართის შესაბამისად), რომ მას აქვსუფლება, საწინააღმდეგო პოზიციის არსებობის შემთხვევაში, ოქმის პროექტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში წარმოადგინოს წერილობითი/ელექტრონული პოზიცია სადავო საკითხთან დაკავშირებით მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებთან ერთად.

2. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს ოქმის პროექტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, ან ელექტრონული ფოსტით საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტს წარუდგინოს გადასახადის გადამხდელის პოზიცია ოქმის პროექტთან დაკავშირებით შესაბამის მასალებთან/მტკიცებულებებთან ერთად (ასეთის არსებობისას) ან მიმართოს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტს გადასახადის გადამხდელის პოზიციის წარდგენის ვადის გაგრძელების თხოვნით, კონკრეტული ვადისა და კონკრეტული საფუძვლების მითითებით.

3. გადასახადის გადამხდელის პოზიცია ან ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვა ვადაში წარდგენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ჩაბარდა ფოსტას ან წარდგენილ იქნა შემოსავლების სამსახურის სხვა სტრუქტურულ ერთეულში. ამასთან, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული გადასახადის გადამხდელის პოზიციას ან მიმართვას ვადის გაგრძელებაზე, თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობისას) დაუყოვნებლივ უგზავნის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტს.

4. გადასახადის გადამხდელის პოზიციის წარდგენის ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართვის შემთხვევაში, ვადის გაგრძელების თაობაზე საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გადასახადის გადამხდელს ეცნობება სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს მიერწერილობით ან ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, და სხვა).

5. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დაესწროს სათათბირო საბჭოს სხდომას პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, პოზიციასთან ერთად, სათათბირო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, მიმდინარე კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი მიმდინარე კონტროლის პროცედურის ჩატარების ვადის გაგრძელების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას.

7. სამართლებრივ საკითხთა სამმართველო უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის პოზიციის და თანდართული მასალების მიწოდებას სათათბირო საბჭოს შემადგენლობისთვის.

8. სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს სათათბირო საბჭოს სხდომის თარიღს, მაგრამ არაუგვიანეს გადამხდელის პოზიციის მიღების დღიდან 15 სამუშაო დღისა. სხდომის თარიღს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და სხვა) სამართლებრივ საკითხთა სამმართველო აცნობებს გადასახადის გადამხდელს (ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), სათათბირო საბჭოს წევრებს, მიმდინარე კონტორლის პროცედურების განმახორციელებელ პირს და სხვა მოწვეულ პირებს (ასეთის არსებობისას) სხდომამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე.

9. სათათბირო საბჭოს წევრმა, გადასახადის გადამხდელმა/წარმომადგენელმა ან/და სხვა მოწვეულმა პირმა (ასეთის არსებობისას) შესაძლებელია სათათბირო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეო ჩართვის გზით).

10. სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვაში შესაძლებელია მონაწილეობდეს მიმდინარე კონტროლის პროცედურის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი (შემდგომში - ოფიცერი) ან/და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კერძო საგადასახადო ინსპექტორი უშუალოდ ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეო ჩართვის გზით).

11. გადასახადის გადამხდელის პოზიცია სათათბირო საბჭოზე არ განიხილება (გარდა ამ წესის მე–4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) თუ სახეზეა ერთ–ერთი ქვემოთ მოყვანილი პირობა:

ა) გადასახადის გადამხდელის პოზიცია საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტშიწარდგენილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით;

ბ) წარდგენილია გადასახადის გადამხდელის წერილობითი ინფორმაცია, სადაც ფიქსირდება ოქმის პროექტთან დაკავშირებით პოზიციის წარდგენის განზრახულობის ან წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და არ არის მითითებული მისი წარდგენის კონკრეტული ვადა. ამასთან, გადასახადის გადამხდელის პოზიცია საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში არ არის წარდგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) გადასახადის გადამხდელის პოზიცია ან მასზე თანდართული დოკუმენტი არ არის შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ენაზე და არ არის წარდგენილი სათანადო წესით დამოწმებული თარგმანი;

დ) გადასახადის გადამხდელი სრულად ეთანხმება ოქმის პროექტს;

ე) გადასახადის გადამხდელის პოზიცია წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 3. სათათბირო საბჭოს სხდომა

1. სათათბირო საბჭოს სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე.

2. სათათბირო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სათათბირო საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

3. სათათბირო საბჭო საკითხის განხილვისას ვალდებულია დაეყრდნოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, აგრეთვე სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.

4. სათათბირო საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე გადასახადის გადამხდელის პოზიცია, მათ მიმართ შედგენილი ოქმების პროექტებთან დაკავშირებით.

5. სათათბირო საბჭოს წევრის, გადასახადის გადამხდელის (თუ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დაესწროს სათათბირო საბჭოს სხდომას), სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს თანამშრომლის, ოფიცრის ან/და სხვა მოწვეული პირის (ასეთის არსებობისას) მიერ სათათბირო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში (მათ შორის, ელექტრონული ფორმით მონაწილეობისას – ტექნიკური ხარვეზის გამო), საკითხის განხილვა შესაძლებელია გადაიდოს, თუ შესაბამისი პირის არყოფნამ შეიძლება ხელი შეუშალოს არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და საკითხის ობიექტურად გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში, ინიშნება საკითხის დამატებითი განხილვა სათათბირო საბჭოს თავჯდომარის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში, რაზედაც ფორმდება სხდომის ოქმი. აღნიშნულის შესახებ სამართლებრივ საკითხთა სამმართველო აცნობებს გადასახადის გადამხდელს წერილობით ან ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და სხვა).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის/მოადგილის ინიციატივით ან გადასახადის გადამხდელის თხოვნით (თუ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დაესწროს სათათბირო საბჭოს სხდომას) შესაძლებელია, საკითხის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის.

7. განსახილველი საკითხის სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სათათბირო საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი/სპეციალისტი და სხვა სათანადო პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება.

8. სათათბირო საბჭოს სხდომაზე ინფორმაციას განსახილველი საკითხის შესახებ წარადგენს სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი.

9. სათათბირო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება გადასახადის გადამხდელის გარეშე, მხოლოდ მიმდინარე კონტროლის პროცედურის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის (ოფიცერი, კერძო საგადასახადო ინსპექტორი) და სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს იმ თანამშრომლის მონაწილეობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა საკითხის შესწავლა. განსახილველი საკითხის შესახებ, მათ მიერ სათათბირო საბჭოს წევრებს წარედგინებათ ინფორმაცია და მტკიცებულებები (ასეთის არსებობისას), აგრეთვე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რის შემდეგაც განხილვაში ერთვება გადასახადის გადამხდელი (თუ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელი ესწრება სათათბირო საბჭოს სხდომას).

10. სათათბირო საბჭო მოისმენს გადასახადის გადამხდელის ზეპირ განმარტებას სადავო საკითხთან დაკავშირებით თითოეული ეპიზოდის მიხედვით (თუ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელი ესწრება სათათბირო საბჭოს სხდომას), რის შემდეგაც გადასახადის გადამხდელი დროებით ტოვებს სათათბირო საბჭოს სხდომას.

11. განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სათათბირო საბჭოს სხდომაზე დამსწრე სათათბირო საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ამასთან, დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

12. გადასახადის გადამხდელის პოზიციასთან დაკავშირებით სათათბირო საბჭო განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას და მტკიცებულებებს (ასეთის არსებობისსას) და სათათბირო საბჭოს თითოეული წევრის მიერ სადავო საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციების შეჯერებისა და კოლეგიური თათბირის შემდეგ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აქედან გამომდინარე, უფლებამოსილია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) დააკმაყოფილოს გადასახადის გადამხდელის პოზიცია;

ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს გადასახადის გადამხდელის პოზიცია;

გ) არ დააკმაყოფილოს გადასახადის გადამხდელის პოზიცია;

დ) განუხილველად დატოვოს გადასახადის გადამხდელის პოზიცია;

ე) მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება და შეაჩეროს გადასახადის გადამხდელის პოზიციის განხილვა;

ვ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებში მითითებული შინაარსების გაერთიანებით.

13. სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილება ცხადდება სხდომაზე. სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილება, გადასახადის გადამხდელის პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ, ფორმდება სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ამზადებს სამართლებრივ საკითხთა სამმართველო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

14. სხდომის ოქმს ხელს აწერს სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე სათათბირო საბჭოს თითოეული წევრი.

15. სხდომის ოქმი შეიძლება მომზადდეს როგორც მატერიალური (წერილობითი), ისე ელექტრონული ფორმით ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ცენტრალურ აპარატში და სისტემაში შემავალ ზოგიერთ ორგანოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სხდომის ოქმზე ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონულად ვიზირება), თუ ხელმომწერის მიერ ოქმში შენიშვნის სახით არ არის დაფიქსირებული განხილულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო პოზიცია, ვიზირება ნიშნავს ოქმში ასახულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე თანხმობას.

16. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის სათაური;

ბ) ოქმის რიგითი ნომერი და თარიღი (რიცხვი,თვე,წელი);

გ) სათათბირო საბჭოს სხდომის თავჯდომარის, განხილვაში მონაწილე საბჭოს წევრთა, საბჭოს სხდომის მდივნის, მიმდინარე კონტროლის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის და სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადინომერი, წარმომადგენლის ან/და მოწვეული სხვა პირების მონაცემები (ასეთის არსებობისას);

ე) განხილული საკითხის თითოეული ეპოზოდის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის პოზიციის მოკლე შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) სხვა ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში.

17. სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმის ასლი ეგზავნება გადასახადის გადამხდელს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

18. სათათბირო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის აქტუალობისა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოების ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება გაიცეს ზეპირი დავალება შესაბამისი სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის მომზადების თაობაზე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ცალკეულ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის ან/და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის დავალებით, ოქმის პროექტთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის პოზიციის განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს ამ წესით განსაზღვრული პროცედურებისაგან განსხვავებული წესით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში (საკითხის სირთულიდან გამომდინარე) საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით, სათათბირო საბჭო განიხილავს:

ა) შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში მისაღებ/მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებს;

ბ) დეპარტამენტში შემოსულ ცალკეულ საკითხებს ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომისა და სათანადო რეკომენდაციის შემუშავების მიზნით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №9

„_____“ _____

გადამხდელის დასახელება საიდენტ./პირადი ნომერი

მის: _____

შეტყობინება

მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე

შედგენილი ოქმის პროექტთან დაკავშირებით

გასაცნობად გეგზავნებათ „_____“---ის 20— წლის „ _____ “ „ _____ “- ის

გადამხდელის დასახელება რიცხვი თვე

მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე შედგენილიოქმის პროექტი.

თქვენ უფლება გაქვთ, მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელებისშედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საჯაროსამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგისდეპარტამენტში (ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას 68ა/სიმონ ჩიქოვანის №2) წერილობითი ანელექტრონული ფორმით წარადგინოთ თქვენი არგუმენტირებული პოზიცია მიმდინარეკონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტითგათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განიხილებათქვენი/თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობით. საბჭოს სხდომის თარიღისა და დროისშესახებ გეცნობებათ დამატებით.

მითითებულ ვადაში პოზიციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმდინარეკონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტიგაფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის სახით და თქვენშესაძლებლობა გეძლევათ გამოიყენოთ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებისგასაჩივრებისათვის საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით მონიჭებულიუფლება.

დანართი: მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზეშედგენილი ოქმის პროექტი --- ფურცლად.

_____

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

გადამხდელი / უფლებამოსილი პირის ხელმოწერა/“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com